

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ეთიკისა და ქცევის კოდექსი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „კომპანია“) თანამშრომლების (შემდგომში „თანამშრომელი“) ეთიკისა და ქცევის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) წარმოადგენს „კომპანიის“ „თანამშრომლების“ პროფესიული საქმიანობის შინაგანაწესს. წინამდებარე „კოდექსი“ ექვემდებარება „კომპანიის“ მიერ მიღებულ უფრო სპეციალურ პოლიტიკის დოკუმენტებს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს „მხილების პოლიტიკასა“ და „მრავალფეროვნების პოლიტიკას“.
2. წინამდებარე „კოდექსის“ მიზანია „თანამშრომლების“ ქცევის წესების განსაზღვრა, რაც ხელს უწყობს:
 - ა) თითოეული „თანამშრომლის“ საქმიანობაში შესაბამისი თანამდებობრივი ანგარიშვალდებულებისა და სამართლიანობის პრინციპის გაძლიერებას.
 - ბ) „თანამშრომლის“ მიერ ოფიციალური მოვალეობების პროფესიონალურად შესრულებას.
 - გ) ადამიანის უფლებების დაცვას საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების გათვალისწინებით.
 - დ) „თანამშრომლის“ მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელად დაცვას.
 - ე) „თანამშრომელთა“ შორის ნდობის და პატივისცემის გაძლიერებას.

მუხლი 2. კოდექსის ფარგლები

1. წინამდებარე „კოდექსი“ თანაბრად ვრცელდება „კომპანიის“ „თანამშრომლებზე“, გენერალურ დირექტორზე, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

მუხლი 3. მორალური სტანდარტები

1. „თანამშრომელმა“ უნდა გააცნობიეროს, რომ მისი პროფესიის არსიდან გამომდინარე, „კომპანიის“ წინაშე აკისრია შესაბამისი ეთიკური ვალდებულებები.
2. „თანამშრომელმა“ უნდა იმოქმედოს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტების შესაბამისად: მან უნდა იხელმძღვანელოს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებითა და საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ნორმებით.

მუხლი 4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა

1. „თანამშრომელმა“ პატივი უნდა სცეს და დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.
2. „თანამშრომელმა“ ხელი უნდა შეუწყოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

მუხლი 5. საზოგადოებასთან ურთიერთობები

1. „თანამშრომელმა“ პატივი უნდა სცეს კომუნიკატორებს საზოგადოებასთან ურთიერთობებში. მან თავაზიანად უნდა მიიღოს დასაბუთებული კრიტიკა საკუთარი აზრის გამოხატვისას. „თანამშრომელმა“ პატივი უნდა სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, იმ პირობით, თუ ეს არ არღვევს მესამე მხარეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.
2. აზრის გამოხატვა აკრძალულია იმ შემთხვევაში, თუ ის მიზნად ისახავს პირის შევიწროებას ან შეურაცხყოფას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობისა და სტატუსის ნიშნით.

მუხლი 6. დამოუკიდებლობა და ზეგავლენისგან გათავისუფლება

1. „თანამშრომელმა“ უნდა დაიცვას კანონმდებლობა, „კომპანიის“ შიდა ინსტრუქციები და საერთო ინტერესი.
2. „თანამშრომელმა“ უნდა იკისროს სრული პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებაზე.
3. „თანამშრომელმა“ თავი უნდა შეიკავოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან კავშირის მიმართ თავისი დამოუკიდებულების საჯაროდ გამოხატვისგან.
4. აკრძალულია:
 - ა) „თანამშრომლის“ მიერ პოლიტიკური შეხედულების ნიშნების ღიად გამოხატვა.
 - ბ) „თანამშრომლის“ მიერ რელიგიური მრწამსის ღიად გამოხატვა იმ შემთხვევაში, თუ ეს სხვების უფლებებს არღვევს.

მუხლი 7. თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება

1. „თანამშრომელმა“ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს მხოლოდ კანონმდებლობით ან/და „კომპანიაში“ მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილ ფარგლებში.
2. აკრძალულია:
 - ა) თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება ნებისმიერ პირზე უკანონო ზეწოლის მოსახდენად.
 - ბ) თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება პროდუქტის ან მომსახურების რეკლამირებისთვის.
 - გ) სამუშაო დროის და ქონების გამოყენება, ასევე თანამშრომლების დროის და ქონების გამოყენება იმ მიზნით, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან.

დ) პირადი ინტერესებისთვის ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა დაკისრებული მოვალეობების შესრულების შედეგად, თუ ეს ზიანს აყენებს „კომპანიის“ ინტერესებს.

მუხლი 8. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

1. „თანამშრომელმა“ ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას მკაცრად უნდა დაიცვას დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპები პირადი ინტერესებისგან.

მუხლი 9. ეფექტურობა და პროფესიონალიზმი

1. „თანამშრომელმა“ მაღალი დონის პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით უნდა შეასრულოს კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით და „კომპანიის“ სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობები.
2. ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას, „თანამშრომელი“ ვალდებულია გაუფრთხილდეს „კომპანიის“ ქონებას და გამოიყენოს ის მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის.
3. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება „თანამშრომლის“ პასუხისმგებლობის საკითხი, ეს უკანასკნელი ვალდებულია აანაზღაუროს მატერიალური ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან/და „კომპანიაში“ მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 10. კოლეგებთან კომუნიკაცია

1. „თანამშრომელმა“ კოლეგებთან ურთიერთობისას უნდა იხელმძღვანელოს პროფესიული სოლიდარობის პრინციპებით.
2. „თანამშრომელი“ ვალდებულია:
 - ა) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამყარებას და თავიდან აირიდოს პირადი ან სხვა სახის კონფლიქტების დაწყება ან ესკალაცია.
 - ბ) გაუზიაროს თავისი გამოცდილება იმ კოლეგებს, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.
 - გ) არ სთხოვოს კოლეგას ისეთი მომსახურებების გაწევა, რომლებიც გაურთულებს მას დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.
 - დ) განზრახ შეცდომაში არ შეიყვანოს კოლეგები.
 - ე) თავაზიანად გამოხატოს უკმაყოფილება კოლეგების შეცდომებთან დაკავშირებით.
 - ვ) გაითვალისწინოს ნებისმიერი სხვა სტანდარტი და ნორმა პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

მუხლი 11. კონფიდენციალური ინფორმაცია

1. „თანამშრომელი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ მკაცრად დაიცავს ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობას, რომელიც მიიღო „კომპანიისგან“ ან „კომპანიაში“ მუშაობიდან გამომდინარე სხვაგვარად გახდა მისთვის ცნობილი. აღნიშნული მიზნისთვის, კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს „კომპანიასთან“ დაკავშირებით ზეპირ, წერილობით ან სხვა სახის ინფორმაციას, იმ ინფორმაციის გარდა, რომელიც არის

- ან გახდა საჯაროდ ცნობილი, თუმცა არა წინამდებარე „კოდექსის“ დარღვევის შედეგად.
2. „თანამშრომელს“ ეკრძალება „კომპანიის“ კონფიდენციალური ინფორმაციის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება, გავრცელება, ნებისმიერი სხვა მხარისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ „კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
 3. „თანამშრომელი“, რომელიც წინამდებარე „კოდექსს“ დაარღვევს, ვალდებულია სრულად აანაზღაუროს ამგვარი დარღვევის შედეგად „კომპანიისთვის“ მიყენებული ზიანი. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაში რჩება „კომპანიაში“ „თანამშრომლის“ საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 12. არაფხიზელი მდგომარეობა

1. „თანამშრომელი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისას არ უნდა იყოს ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებების ან/და ნებისმიერი სხვა ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ან ნებისმიერ სხვა მდგომარეობაში, რომელიც არ შეეფერება „თანამშრომლის“ ღირსებას.
2. ალკოჰოლური სასმელის მიღება შესაძლებელია „კომპანიის“ ადმინისტრაციულ შენობებში (სათაო ოფისი, რეგიონული ოფისები) მხოლოდ ოფიციალურ შეკრებებზე.
3. „თანამშრომელი“ სამუშაო ადგილზე არ უნდა გამოცხადდეს სპეციალური ფორმის გარეშე (რომელიც გამოიყენება კონკრეტული კატეგორიის თანამშრომლებისთვის, რომლის ჩამონათვალი განსაზღვრულია „კომპანიის“ მოქმედი პროცედურებით).

მუხლი 13. სამსახურებრივი საიდენტიფიკაციო ბარათის გამოყენება (საშვი)

1. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, „თანამშრომელს“ უნდა ჰქონდეს „კომპანიის“ საშვი და თავი უნდა შეიკავოს საჯარო ადგილებში მისი დემონსტრირებისგან.

მუხლი 14. საჯარო განცხადება

1. „კომპანიის“ საზოგადოებრივი იმიჯის და რეპუტაციის, სამრეწველო ინტერესების დაცვის და ასევე გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას (ნებისმიერი სახის ურთიერთობა, პირადი გასაუბრება ან/და ანონიმური განცხადებები ტელევიზიის, რადიოს, გაზეთის, ჟურნალის, ინტერნეტ მედიის წარმომადგენლებთან), „თანამშრომელს“ არ აქვს უფლება ზეპირი ან წერილობითი ფორმით გააკეთოს საჯარო განცხადება:
 - ა) რომელიც მიმართულია „კომპანიის“ ინტერესებისა და მიზნების წინააღმდეგ და არ შეესაბამება მათ;
 - ბ) რომელიც გამოიყენება ან შესაძლოა გამოყენებული იქნას „კომპანიის“ დისკრედიტაციისთვის;
 - გ) რომელიც „კომპანიის“ შესახებ ავრცელებს ცრუ, საეჭვო და გადაუმოწმებელ ინფორმაციას;
 - დ) ქმნის ან შესაძლოა შექმნას არასწორი ან არასასურველი შთაბეჭდილება.

2. იმ შემთხვევაში, თუ „თანამშრომელს“ ნებისმიერ დროს დაუკავშირდება მედიის წარმომადგენელი მის მიერ „კომპანიისთვის“ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, „თანამშრომელს“ არ აქვს უფლება უპასუხოს ასეთ შეკითხვებს. ნებისმიერი ასეთი დაინტერესების შესახებ „თანამშრომელმა“ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს ან/და გენერალურ დირექტორს და დაინტერესებულ მხარეს უნდა დაუსახელოს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე პასუხისმგებელი პირი და მიუთითოს მისი საკონტაქტო მონაცემები.

მუხლი 15. შეუფერებელი ქმედებები

1. „თანამშრომელმა“ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელმაც შესაძლოა ობიექტურად რისკის ქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა ან გავლენა მოახდინოს მის საქმიანობაზე.

მუხლი 16. მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

1. ბიზნესის წარმოების ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულება

- 1.1. „კომპანია“ ვალდებულია აწარმოოს ბიზნესი ეთიკის პრინციპების საფუძველზე. „კომპანიის“ პოლიტიკაა, რომ არცერთ შემთხვევაში არ შესთავაზოს, გადაიხადოს, მოითხოვოს, გამოსძალოს ან მიიღოს ქრთამი, ან ხელი შეუწყოს ან წააქეზოს ქრთამის ნებისმიერი შეთავაზება ან გადახდა და უარი თქვას ნებისმიერ მოთხოვნაზე მათ გადახდასთან დაკავშირებით.

- 1.2. ამ პოლიტიკის 16(4) პუნქტში განმარტებულია, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ქრთამს.

- 1.3. მექრთამეობის გამო „კომპანიის“ მიმართ შესაძლოა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი ან მარეგულირებლის მხრიდან წარმოებული გამოძიებები, რის შედეგადაც შესაძლოა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და ჯარიმები და ხარჯები დაეკისროს ჩვენს „კომპანიას“. მექრთამეობის გამო „კომპანიის“ წინააღმდეგ შესაძლოა აღიმართოს სასამართლო საქმე კონკურენტების ან მესამე მხარეების მიერ. კორუფციულ ქმედებაში მონაწილე ცალკეული პირების წინააღმდეგ შესაძლოა პერსონალურად დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

- 1.4. „კომპანია“ არ შეიწყნარებს რაიმე სახის მექრთამეობას ან კორუფციას და აქედან გამომდინარე, „კომპანია“:

(ა) ისწრაფვის, რომ არ დაუშვას მექრთამეობა და კორუფცია; და

(ბ) გამოიძიებს და წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად რეაგირებას მოახდენს მექრთამეობისა და კორუფციის ყველა მხილებულ შემთხვევაზე.

- 1.5. ნებისმიერ პირს, რომელიც განაცხადებს ან გამოთქვამს გულწრფელ წუხილს ან ეჭვს კოლეგის, ბიზნეს პარტნიორის ან მესამე მხარის კორუფციული ქმედების შესახებ, „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და „კომპანიის“ ხელმძღვანელობისგან სრული მხარდაჭერა ექნება.

- 1.6. საქმიანი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოთ შესაბამება თუ არა თქვენი გადაწყვეტილება წინამდებარე პოლიტიკას, სამართლებრივ ნორმებს და მისაღები იქნებოდა თუ არა, რომ თქვენი გადაწყვეტილება გასაჯაროებულიყო.
- 1.7. თქვენს მიერ წინამდებარე პოლიტიკის დაცვა არ იქნება თქვენთვის რაიმე არასასურველი ან უარყოფითი შედეგის მომტანი. თუმცა, ამ პოლიტიკის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური ღონისძიების გამოყენება, მათ შორის თანამდებობიდან გათავისუფლება და ასევე სამოქალაქო საქმისწარმოება და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა და სანქციები როგორც პირადად თქვენს, ასევე თქვენი ზედამხედველის ან მენეჯერის წინააღმდეგ იმდენად, რამდენადაც ადგილი ჰქონდა ხელმძღვანელობის, ზედამხედველობის ან ყურადღების ნაკლებობას.

2. ფარგლები

- 2.1. წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრულია „კომპანიის“ მექრთამეობისა და კორუფციის პრევენციის პოლიტიკა, მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.2. აღნიშნული პოლიტიკის მიზანია:
 - (ა) ბიზნესის კეთილსინდისიერად და ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად წარმოების პრინციპების განსაზღვრა;
 - (ბ) სახელმძღვანელო მითითება იმ სახის ქცევის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის დარღვევები;
 - (გ) უზრუნველყოს, რომ „კომპანიის“ ფინანსური და სხვა რესურსები გამოყენებული იქნას მხოლოდ მათი სათანადო მიზნებისთვის; და
 - (დ) „კომპანიის“ პერსონალს შორის კეთილსინდისიერი და ღია ურთიერთობების კულტურის ხელშეწყობა.
- 2.3. წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება „კომპანიაზე“ და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ყველა წევრზე, გენერალურ დირექტორზე, ასევე ყველა „თანამშრომელზე“. პოლიტიკა მოქმედებს ყველგან, სადაც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას.
- 2.4. წინამდებარე პოლიტიკა შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ერთობლივი საწარმოების მიმართ, რომლებშიც „კომპანია“ მონაწილეობს ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, რომელიც მოქმედებს „კომპანიის“ სახელით (მათ შორის დროებითი თანამშრომლები, მივლინებული თანამშრომლები, კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები და აგენტები). შესაბამის შემთხვევაში, ნებისმიერი ასეთი პირი, რომელიც მოქმედებს „კომპანიის“ სახელით, ინფორმირებული იქნება ამ პოლიტიკის შესახებ და წახალისდება ან მოეთხოვება (როგორც გათვალისწინებულია შეთანხმებებში „კომპანიასა“ და ასეთ ერთობლივ საწარმოს, დროებით თანამშრომელს, მივლინებულ თანამშრომელს, კონტრაქტორს, ქვეკონტრაქტორსა და აგენტს შორის) ეკვივალენტური სტანდარტების დაცვა.

2.5. წინამდებარე პოლიტიკა შემუშავებული იქნა საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2.6. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, „შესაბამისობის ოფიცრები“ გულისხმობს „კომპანიაში“ მომუშავე ნებისმიერ თანამდებობის პირს, რომელიც პასუხისმგებელია „თანამშრომლების“ მიერ წინამდებარე „კოდექსის“ დაცვის მონიტორინგსა და შესრულებაზე.

3. ჩვენი მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პროცედურები

3.1. „კომპანიის“ ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს მექრთამეობის და კორუფციული საქმიანობის აკრძალვას, მოითხოვს პროცედურების შემუშავებას და დაცვას კორუფციის რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

3.2. აღნიშნული პროცედურები შემუშავდება „კომპანიის“ წინაშე არსებული კონკრეტული კორუფციული რისკების პერიოდული შეფასების საფუძველზე.

3.3. მაღალი რისკის სიტუაციებში შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი პროცედურები, როგორცაა გაფართოებული კომპლექსური შემოწმება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პირდაპირი გამოკითხვების, არაპირდაპირი გამოძიებების ან საერთო მოკვლევის ჩატარებას შემოთავაზებულ ბიზნეს პარტნიორებზე, როგორცაა აგენტები, ერთობლივი საწარმოს პარტნიორები, კონტრაქტორები, მომწოდებლები და სხვა მესამე მხარეები. თუ „კომპანია“ თვლის, რომ კორუფციის რისკი განსაკუთრებით მაღალია და შეუძლებელია მისი ეფექტურად შერბილება, „კომპანია“ მონაწილეობას არ მიიღებს კონკრეტულ გარიგებას ან შეთანხმებაში.

3.4. პოტენციური მექრთამეობის რისკის მასშტაბურობის მიუხედავად, მექრთამეობის ან კორუფციის ნებისმიერი სახის რისკის შესარბილებლად „კომპანიის“ მიერ მიღებული საერთო პროცედურები მოიცავს შემდეგს:

(ა) „კომპანიის“ უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის ჩართულობას მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურებზე საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებასა და საერთო პასუხისმგებლობაში;

(ბ) რისკის შეფასების პროცედურა;

(გ) შესაბამისი პერსონალისთვის წინამდებარე პოლიტიკის შეტყობინება;

(დ) „კომპანიის“ ხელმძღვანელი პირებისა და პერსონალის ტრენინგი;

(ე) გარიგებების გამჭვირვალობა და ინფორმაციის გამჟღავნება;

(ვ) არსებული და პოტენციური შუამავლებისა და ასოცირებული პირების კომპლექსური შემოწმება;

ა. ფინანსური და კომერციული კონტროლი, როგორცაა სათანადო ბუღალტერიის წარმოება, აუდიტი და ხარჯების დამტკიცება;

(ზ) გადაწყვეტილების მიღება, როგორცაა უფლებამოსილების დელეგირების პროცედურები, ფუნქციების დაყოფა და ინტერესთა კონფლიქტის აცილება.

(თ) მექრთამეობის მხილების მექანიზმები;

(ი) „კომპანიის“ მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის წესების დარღვევისთვის დადგენილი დისციპლინური პროცესებისა და სანქციების აღსრულება და დეტალური აღწერა;

(კ) მექრთამეობის პრევენციის პროცედურების მუდმივი მონიტორინგი, განხილვა და შეფასება; და

(ლ) თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება, „კომპანია“ შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს მიაწვდის ინფორმაციას ან ეჭვს მექრთამეობის ან კორუფციის შესახებ.

4. აკრძალული ქცევა

4.1. რა სახის ქცევა იკრძალება? წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს:

(ა) ქრთამის შეთავაზებას, დაპირებას ან გაცემას (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან ნებისმიერი ასეთი ქცევის დახმარებას, წახალისებას ან ხელშეწყობას („აქტიური მექრთამეობა“); და

(ბ) ქრთამის მოთხოვნას, შუამავლობას, თანხმობას ქრთამის მიღებაზე (პირდაპირ ან არაპირდაპირ) („პასიური მექრთამეობა“).

4.2. აქტიური მექრთამეობა

არასოდეს შესთავაზოთ, დაჰპირდეთ ან გადაუხადოთ ქრთამი, მათ შორის „ხელშეწყობის ანაზღაურება“, სხვა არამართლზომიერი გადახდები ან სარგებელი რომელიმე პირს, მათ შორის (შეზღუდვის გარეშე) მომხმარებლების, მომწოდებლების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, პროფკავშირების თანამშრომლებს, აგენტებს ან ხელმძღვანელ პირებს, სამთავრობო ან სახელმწიფო ხელმძღვანელ პირებს ან საჯარო მოხელეებს (ნებისმიერი იურისდიქციის ფარგლებში). ეს შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, ნებისმიერი სახის საჩუქრების, შემოწირულობების, ჯილდოების, სარგებლის, გამასპინძლების ან გართობის შეთავაზებას. ასევე, არასოდეს შეუწყობთ ხელი, უშუამავლოთ, დაეხმაროთ ან წახალისოთ ამგვარი ქცევა.

4.3. პასიური მექრთამეობა

(ა) „კომპანიის“ თანამშრომლებს ეკრძალებათ ნებისმიერი პირისგან ქრთამის მოთხოვნა, გამოძალვა, მის მიღებაზე დათანხმება ან მიღება. ეს აკრძალავს მოქმედებს მიუხედავად იმისა, ქრთამი მიღებულია საკუთრივ თანამშრომლების მიერ თუ სხვა პირის სახელით.

(ბ) მაგალითად, წინამდებარე პოლიტიკის დარღვევად მიიჩნევა მომწოდებლისთვის ბიზნესის დაპირება ან მიმართვა, ნებისმიერი სარგებლის სანაცვლოდ, იქნება ეს საჩუქარი, გამასპინძლება (როგორცაა სპორტულ ან კულტურულ ღონისძიებებზე ან სხვა გასართობ აქტივობებზე დასწრება) თუ ნებისმიერი სხვა სარგებელი.

(გ) წინამდებარე პოლიტიკა დაირღვევა, როდესაც ადგილი ექნება ქრთამის შეთავაზებას, მოთხოვნას ან გამოძალვას; არ არის აუცილებელი ქრთამი რეალურად იქნას გადახდილი. აკრძალვა ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც „კომპანიის“ თანამშრომელი ქრთამს შესთავაზებს ან მისცემს სხვა პირს მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა რაიმე სარგებელს აღნიშნულის სანაცვლოდ.

4.4. რა არის ქრთამი?

(ა) ნებისმიერი „უპირატესობა“

- (i) „ქრთამი“ ფართოდ განიმარტება და შესაძლოა მოიცავდეს ნებისმიერ ფინანსურ ან სხვა უპირატესობას, მათ შორის მომსახურების გაწევას ან რაიმე ღირებულებას.
- (ii) ქრთამი შესაძლოა მოიცავდეს ფინანსურ გადახდებს, ნაღდი ფულით ან ფულის ეკვივალენტებით (როგორცაა სასაჩუქრე ბარათები) ან არაფულად სარგებელს, როგორცაა საჩუქრები, მომსახურებები, სესხები, მოგზაურობა, კვება, ფასიანი ქაღალდები, ქონება ან წილი ნებისმიერი სახის საკუთრებაში, დაცვა ჯარიმებისგან, ვალდებულებისგან გათავისუფლება და გართობა. ქრთამი ასევე შესაძლოა მოიცავდეს ნებისმიერი ღირებულების გაცემას საგნის არაადეკვატური ანაზღაურების სანაცვლოდ.
- (iii) პირისთვის ან ასეთი პირის მეგობრისთვის/ნათესავისთვის შესაძლებლობის შეთავაზება (მაგალითად, სამუშაოს ან სტაჟირების შეთავაზება მოქმედი ან პოტენციური ბიზნეს პარტნიორის ნათესავისთვის) შეიძლება ასევე ჩაითვალოს ქრთამად. ყოველთვის გაითვალისწინეთ ნებისმიერი ღირებულება, რომელიც შესაძლოა შეეთავაზოს მიმღებს.
- (iv) საქველმოქმედო შენატანი ასევე შესაძლოა უთანაბრდებოდეს ქრთამს, თუ ასეთი შენატანი:
 - (ა) არაპირდაპირ სარგებელს (ფინანსურს ან სხვაგვარს) აძლევს პირს, რომელმაც მოითხოვა ან შესთავაზა ის;
 - (ბ) გადაეცემა არჩეულ თანამდებობის პირებს ან პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების ცალკეულ წევრებს; ან
 - (გ) არის ფაქტობრივად შენიღბული ქრთამი.

(ბ) რომლის მიზანია არამართლზომიერი ქცევის წაქეზება ან საჯარო თანამდებობის პირზე გავლენის მოხდენა.

- (i) უპირატესობის მიცემა ჩაითვლება ქრთამად, თუ მისი მიზანია არამართლზომიერი ქცევის წაქეზება მიმღების ან სხვა პირის მიერ ან საჯარო თანამდებობის პირზე გავლენის მოხდენა (არამართლზომიერად ან სხვაგვარად) თავისი ოფიციალური მოვალეობების შესრულების დროს.
- (ii) ეს შესაძლოა იყოს როგორც კონკრეტული ქმედების განხორციელება, ასევე კონკრეტული ქმედებისგან თავის შეკავება. წინამდებარე პოლიტიკა არ კრძალავს უპირატესობების გაცემას ან მიღებას (როგორცაა გამასპინძლება), რომლებიც გაიცემა/მიიღება გამჭვირვალედ და რომლებიც არ არის გამიზნული (და არ შეიძლება ასეთად იყოს განმარტებული) უკანონო „ორმხრივად მომგებიანი გაცვლისთვის“, როგორცაა კონკრეტული ხელშეკრულების გაფორმება.

- (iii) კეთილსინდისიერი კორპორაციული გამასპინძლება და სხვა დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენი იმიჯის გაუმჯობესებას, ჩვენი მომსახურების უკეთ წარმოჩენას ან მეგობრული საქმიანი ურთიერთობების დამყარებას, არის ბიზნესის კეთების მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური ნაწილი.
- (iv) თუმცა უნდა გაითვალისწინოთ ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება შეთავაზებულ გამასპინძლებაზე.
- (v) გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კონკრეტულ იურისდიქციებში სახელმწიფო თანამდებობის პირების, სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების, ასევე მათი ოჯახის წევრებისა და ნათესავების მიმართ შესაძლოა უფრო მკაცრი შეზღუდვები ვრცელდებოდეს და აქედან გამომდინარე, ეკრძალებოდეთ რაიმე სარგებლის მიღება იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარგებლის მიზანი არ არის გავლენის მოხდენა ან არამართლზომიერი ქცევის წახალისება ან თანამდებობის პირზე გავლენის მოხდენა ოფიციალური მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. მაგალითად, თანამდებობის პირებს შესაძლოა აეკრძალოთ სარგებლის მიღება, შეთავაზებული სარგებლის ბუნებისა და გარემოებების მიუხედავად, მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ შესაძლოა ეკრძალებოდეთ რაიმე სარგებლის ან უპირატესობის მიღება მათი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კორუფციული განზრახვა არ არსებობს.
- (vi) წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, „სახელმწიფო თანამდებობის პირები“ არიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან სასამართლო თანამდებობაზე მყოფი პირები, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელეები ან სხვა პირები, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო ფუნქციებს ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, მუნიციპალიტეტის ან ნებისმიერი სახელმწიფო უწყების ან სახელმწიფო საწარმოს სახელით, ნებისმიერი პირი, რომელიც ასრულებს ფუნქციას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორგანიზაციის ან საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით.
- (vii) უპირატესობის მიცემა შესაძლოა ჩაითვალოს ქრთამად იმ შემთხვევაში, თუ:
- (ა) იგი უკანონოა მექრთამეობის ან კორუფციის შესახებ ნებისმიერი შესაბამისი კანონის მიხედვით;
 - (ბ) იგი წარმოშობს ვალდებულებას ან ქმნის ვალდებულების აღქმას რომელიმე მხარისთვის;
 - (გ) მისი მიზანია პირმა უპირატესობის მიმცემი პირის ან მისი ორგანიზაციის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისგან;
 - (დ) იგი გადაეცა სახელმწიფო თანამდებობის პირს ან საჯარო მოხელეს მასზე გავლენის მოსახდენად თავისი ოფიციალური მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით ან ოფიციალური მოვალეობების შესრულების დაჩქარებისთვის;

(ე) მისი გამჭვირვალედ განხორციელება შეუძლებელია;

(ვ) იგი არაგონივრულია ღირებულების ან/და სიხშირის თვალსაზრისით; ან/და

(ზ) აღნიშნული უპირატესობის გამოვლინებამ შესაძლოა უხერხულოა შეუქმნას ფიზიკურ პირს ან ნებისმიერ კომპანიას ან „კომპანიის“ წარმომადგენელს.

(viii) გარდა ამისა, არასოდეს:

(ა) მიიღოთ მონაწილეობა ფინანსურ მაქინაციებში, მათ შორის დანაშაულებრივ ქმედებებში, როგორცაა ფულის მოპარვა და ყალბი ანგარიშგება, ფულის გათეთრება ან ფულადი სახსრების უკანონოდ მითვისება;

(ბ) გამოიყენოთ პირადად ან არ შესთავაზოთ სხვა პირებს წვდომა „კომპანიის“ რესურსებზე, მათ შორის აქტივებზე, ფულად სახსრებზე ან ინტელექტუალურ საკუთრებაზე „შესაბამისობის ოფიცრების“ წინასწარი ნებართვის გარეშე;

(გ) შეეცადოთ, რომ წააქეზოთ კომერციული ორგანიზაციის, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორგანიზაციის ცალკეული თანამშრომელი ან ნებისმიერი ადგილობრივი თუ უცხო ქვეყნის მთავრობის თანამდებობის პირი, ჩაიდინოს რაიმე უკანონო ქმედება;

(დ) შესთავაზოთ ან განახორციელოთ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, აგენტის ან შუამავლის მეშვეობით, უნებართვო გადახდა ან დაუშვათ არამართლზომიერი გადახდა (ნაღდი ფულით ან სხვაგვარად) ადგილობრივი თუ უცხო ქვეყნის თანამდებობის პირისთვის, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორგანიზაციის თანამდებობის პირისთვის, ხელმძღვანელი პირისთვის ან მენეჯერისთვის, ნებისმიერი დაკავშირებული პირისთვის ან კომპანიისთვის კომერციული ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის ან თანამშრომლისთვის;

(ე) შესთავაზოთ ან მისცეთ უნებართვო სარგებელი (ქონება ან სხვა) „კომპანიის“ კონკურენტის, მომწოდებლის ან მომხმარებლის თანამშრომელს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არაკეთილსინდისიერი კონკურენტული უპირატესობა და მოქმედი კონკურენციის რეგულაციების დარღვევა, როგორცაა ნებისმიერი სარგებელი, რომელმაც შესაძლოა განაპირობოს „კომპანიის“ არასათანადო უპირატესობა მის კონკურენტებთან მიმართებით;

(ვ) გამოიყენოთ კავშირები, რომლებიც შესაძლოა გქონდეთ სამთავრობო უწყებებთან ან ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად „კომპანიის“ საქმეებთან დაკავშირებით;

(ზ) დახუჭოთ თვალი ან დამალოთ ნებისმიერი მიმანიშნებელი ქრთამის ან ნებისმიერი არასათანადო გადახდის ან შეღავათის შესახებ წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად, ან ნებისმიერი გარემოებების შესახებ, როდესაც არსებობს ასეთი ქცევის ეჭვის საფუძველი;

(თ) განახორციელოთ უსაბუთო გადახდები, საჩუქრები ან სხვა ხარჯები ან გააკეთოთ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ჩანაწერები „კომპანიის“ წიგნებსა და ანგარიშებში;

(ი) მიიღოთ მონაწილეობა რაიმე ქმედებაში, მათ შორის განზრახ დაამახინჯოთ ფაქტები, მხარის წასაქეზებლად ფინანსური ან სხვა სარგებლის მოპოვების ან ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით;

(კ) მიიღოთ მონაწილეობა უკანონო ქმედებებში, მათ შორის ისეთ ქმედებაში, რომელიც გამოიწვევს პერსონალურ დაზიანებას ან ქონებრივ ზიანს, ფინანსური ან სხვა სარგებლის მოპოვების ან ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით;

(ლ) მიიღოთ მონაწილეობა არასათანადო შესყიდვების ან კონტრაქტების გაფორმების ფარულ საქმიანობაში;

(მ) განახორციელოთ რაიმე ქმედება, რომელიც წაახალისებს ან ხელს შეუწყობს წინამდებარე პოლიტიკის დარღვევას სხვა პირის მიერ; ან

(ნ) სცადოთ ზემოაღნიშნულის დაფარვა ან მიჩქმალვა.

(ix) იმის მითითება, რომ ქრთამის გაცემა ჩვეულებრივი მოვლენა ადგილობრივ ვაჭრობაში ან პროფესიულ საქმიანობაში, არ ნიშნავს მექრთამეობის გამართლებას.

4.5. ხელშეწყობის ანაზღაურება

(ა) თქვენ არ უნდა გასცეთ ხელშეწყობის ანაზღაურება. ხელშეწყობის ანაზღაურება არის მსხვილი ან მცირე ანაზღაურება გადახდილი სახელმწიფო მოხელეთათვის რუტინული ან აუცილებელი ოფიციალური ქმედების უზრუნველსაყოფად ან დასაჩქარებლად, რათა ეს ქმედება უფრო სწრაფად შესრულდეს ან საერთოდ შესრულდეს (მაგ. განბაჟება). ექვსის გამორიცხვის მიზნით, ხელშეწყობის ანაზღაურება არ მოიცავს დოკუმენტურად დასაბუთებულ მოსაკრებლებს, რომლებიც გადახდილია სახელმწიფო დაწესებულებებისთვის შესაბამისი კანონის, წესის ან რეგულაციის შესაბამისად, როგორცაა ლიცენზირების დეპარტამენტისთვის გადახდილი სანებართვო განაცხადის მოსაკრებელი.

(ბ) თუ სახელმწიფო მოხელე მოგთხოვთ გადახდას, რომელზეც გაგიჩნდებათ ეჭვი, რომ შესაძლოა იყოს ხელშეწყობის ანაზღაურება, თქვენ არ უნდა განახორციელოთ გადახდა სანამ არ დარწმუნდებით, რომ გადახდა მოითხოვება ოფიციალური რეგულაციებით. ექვსის გაჩენის შემთხვევაში, პირველივე შესაძლებლობისთანავე გაიარეთ კონსულტაცია „შესაბამისობის ოფიცრებთან“.

(გ) თუ თვლით, რომ იძულებული ხართ განახორციელოთ გადახდა იმის გამო, რომ შესაძლოა თქვენს უვნებლობას, უსაფრთხოებას ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქროს, შეგიძლიათ განახორციელოთ გადახდა, მაგრამ ამის შესახებ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა აცნობოთ „შესაბამისობის ოფიცრებს“, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას შესაბამისი ღონისძიებების შესახებ.

5. კორპორაციული წარმომადგენლობითი ღონისძიებები

კორპორაციული გამასპინძლება და ღონისძიებები, რომლებიც იმართება კლიენტებისთვის, მომწოდებლებისა და ბიზნეს პარტნიორებისთვის წარმოადგენს „კომპანიის“ კეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის ნაწილს.

5.1. გამასპინძლების უზრუნველყოფა

(ა) ზომიერი კორპორაციული გამასპინძლება ზოგადად არ ეწინააღმდეგება წინამდებარე პოლიტიკას.

(ბ) თუმცა, გამასპინძლება შესაძლოა გამოყენებული იქნას მოსყიდვის საშუალებად, როდესაც ის გადაჭარბებულია ან/და გამიზნულია მიმღებზე არასათანადო ზეგავლენის მოსახდენად.

(გ) ნებისმიერი შეთავაზებული ან გაწეული გამასპინძლება არ უნდა ისახავდეს მიზნად მიმღებზე ან ნებისმიერ სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენას, რათა განახორციელოს არასათანადო ქმედება ან ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო თანამდებობის პირზე (არასათანადოდ თუ სხვაგვარად) ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას.

5.2. გამასპინძლების მიღება

(ა) ანალოგიურად, არ უნდა მიიღოთ გამასპინძლების შეთავაზება პირისგან, თუ თვლით, რომ ასეთი პირი ცდილობს თქვენზე ზეგავლენის მოხდენას არასათანადო გზით ან იმ ფორმით, რომელიც უხერხულობას შეგიქმნით.

(ბ) თუ არსებობს რაიმე მინიშნება იმისა, რომ მოსალოდნელი იქნება თქვენი კეთილგანწყობის მოპოვება ასეთი გამასპინძლების სანაცვლოდ, ან იქნება იმედი, რომ თქვენ გამოხატავთ ასეთ კეთილგანწყობას, არ უნდა მიიღოთ ასეთი მოწვევა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ „შესაბამისობის ოფიცერებს“.

5.3. გამასპინძლება - სახელმძღვანელო პრინციპები

(ა) ბიზნეს პარტნიორების ან პოტენციური ბიზნეს პარტნიორების მოწვევა მეტისმეტად მდიდრულ ღონისძიებებზე დასასწრებად ან ასეთ ღონისძიებებზე დასწრება ბიზნეს პარტნიორების მოწვევით შესაბამისი საქმიანი დანიშნულების გარეშე, არ შეესაბამება „კომპანიის“ ერთგულებას ბიზნესის კეთილსინდისიერად წარმოების მიმართ.

(ბ) კორპორაციული გამასპინძლება დასაშვებია ამ პოლიტიკის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ:

(i) არის გონივრული და პროპორციული მისი მიზნის გათვალისწინებით;

(ii) მას ასევე ესწრება პირი, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციულ გამასპინძლებას;

- (iii) არსებობს კეთილსინდისიერი საქმიანი მიზანი, როგორცაა ზოგადი საქმიანი ურთიერთობების დამყარება, „კომპანიის“ ბრენდის წარმოჩენა ან „კომპანიის“ მომსახურებების აღწერა;
 - (iv) რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, გამასპინძლებაზე მოწვევა და მოწვევის მიღება არ ეწინააღმდეგება მონაწილე კომპანიის მოქმედ პოლიტიკას/ქცევის კოდექსს ან წინამდებარე პოლიტიკას;
 - (v) გამასპინძლებაზე მოწვევა და მოწვევის მიღება არ ეწინააღმდეგება მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას; და
 - (vi) ეჭვგარეშეა, რომ კორპორაციულმა გამასპინძლებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ან მონაწილე კომპანიის ბიზნეს პარტნიორების ან თანამშრომლების კომერციულ გადაწყვეტილებებზე.
- (გ) გამასპინძლების გაწევა ან მიღება ზოგადად დასაშვებია, თუ ღონისძიებაზე იქნება საქმიანი თემების განხილვის შესაძლებლობა.
- (დ) ჩვეულებრივ, დაუშვებელია „კომპანიის“ ბიზნეს კონტაქტების მეუღლეების/ნათესავების გამასპინძლება. თუ გსურთ საკონტაქტო პირის მეუღლის/ნათესავის გამასპინძლება, ამისათვის წინასწარი ნებართვა უნდა მოიპოვოთ „შესაბამისობის ოფიცრებისგან“.
- (ე) გამასპინძლების გაწევა არ უნდა მოიცავდეს „კომპანიის“ მიერ დამსწრე პირის თვითმფრინავით მგზავრობის ან ძვირადღირებულ სასტუმროში განთავსების საფასურის გადახდას ან ანაზღაურებას.
- (ვ) ანალოგიურად თქვენ არ უნდა მიიღოთ ამგვარი გამასპინძლების შეთავაზება, რადგან ამან შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ თქვენი გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს კომპრომისული (მაშინაც კი, თუ თვლით, რომ თქვენი გადაწყვეტილება არ იქნება კომპრომისული).
- (ზ) თქვენ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ გამასპინძლების ღირებულება მოცემულ ქვეყანაში მიღებული გონივრული ღირებულების შესაბამისად.

5.4. საქმიანი მივლინებების, დაბინავების, მგზავრობის ხარჯები

- (ა) იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება კლიენტის ან მომწოდებლის ვიზიტი „კომპანიაში“ კონკრეტული ბიზნეს საკითხების განსახილველად, როგორცაა პროექტთან დაკავშირებულ შეხვედრაზე ან სემინარზე დასწრება, წინამდებარე პოლიტიკა არ უკრძალავს „კომპანიას“ აუნაზღაუროს დამსწრე პირს გონივრული მგზავრობის, დაბინავების და კვების ხარჯები.
- (ბ) ასეთ სიტუაციებში „კომპანიაში“ დამსწრე პირის დამქირავებელს (ე. ი. მომწოდებელი ან კლიენტი) და არა პირადად დამსწრე პირს, უნდა გადაუხადოს ანაზღაურება სრულად დოკუმენტირებული, გამჭვირვალე სახით.

5.5. გამასპინძლება - მაღალი რისკის გარემოებები

(ა) გამასპინძლების გაწევა სენსიტიურ დროს წარმოშობს განსაკუთრებულ რისკს მექრთამეობის თვალსაზრისით და ასეთ ვითარებაში საჭიროა ჩვეულებრივზე მაღალი დონის სიფრთხილის გამოჩენა.

(ბ) გამასპინძლების გაწევისას უნდა გაითვალისწინოთ არსებობს თუ არა მიმდინარე თუ პოტენციური პროექტები ან მიმდინარე თუ მოსალოდნელი საკითხები მიმღების ორგანიზაციასთან.

(გ) გამასპინძლების გასაწევად სენსიტიურ დროდ ითვლება:

- (i) როდესაც მიმღების ორგანიზაციასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების ან არსებული ხელშეკრულების განახლების შესახებ;
- (ii) როდესაც მიმდინარეობს „მოთხოვნა წინადადების წარდგენაზე ან ტენდერში მონაწილეობაზე“ ან ცნობილია, რომ აღნიშნული განიხილება შესაბამის კლიენტთან დაკავშირებით; ან
- (iii) სახელმწიფო თანამდებობის პირთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც მიმდინარეობს მარეგულირებელი ან სალიცენზიო განაცხადის ან სხვა მარეგულირებელი საკითხის განხილვა (მაგალითად, ანტიმონოპოლიური შემოწმება კონკრეტულ საკითხთან ან ლიცენზიასთან დაკავშირებით კონკრეტულ იურისდიქციაში ფინანსური მომსახურებების გაწევის მიზნით).

(დ) გამასპინძლების გაწევა სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის, მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირებისთვის ან დაკავშირებული პირებისთვის (როგორცაა მათი ნათესავები ან ოჯახის წევრები) წარმოადგენს მაღალ რისკს. ზოგიერთ იურისდიქციაში, გამასპინძლების გაწევა (ხარჯების ან მიზნების მიუხედავად) სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის ან დაკავშირებული პირებისთვის შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივ კანონმდებლობას ან რეგულაციებს.

(ე) თუ გსურთ გამასპინძლების გაწევა მაღალი რისკის გარემოებებში, უნდა მოიპოვოთ „შესაბამისობის ოფიცრების“ წინასწარი ნებართვა.

6. საჩუქრები

6.1. არ უნდა გასცეთ ან არ უნდა მიიღოთ საჩუქრები მომწოდებლებისა და სხვა ბიზნეს პარტნიორებისგან. ამ წესიდან გამონაკლისის სახით, „კომპანიის“ თანამშრომლებს შეუძლიათ გასცენ ან მიიღონ სარეკლამო მასალები ან შეზღუდული ღირებულების საგნები.

6.2. აღნიშნული სარეკლამო მასალების ან შეზღუდული ღირებულების საგნების მიღება ან გაცემა შესაძლებელია, თუ:

- (ა) ასეთი ნივთების ღირებულება არ აღემატება შემდეგთაგან უფრო ნაკლებს: (ა) 200 ლარი კალენდარული წლის განმავლობაში თითოეული ბიზნეს პარტნიორისთვის; და
- (ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობები;

(ბ) საჩუქრის მიღება ნებადართულია მიმღების დამსაქმებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 6.3. სხვა სახის საჩუქრების გაცემა ან მიღება არ უნდა მოხდეს „შესაბამისობის ოფიცრების“ ცალსახი თანხმობის გარეშე.
- 6.4. საჩუქრები უფრო მაღალ რისკს შეიცავს ვიდრე გამასპინძლება, რადგან მიმღებისთვის საჩუქრის განგრძობითი ღირებულება შესაძლოა უფრო მაღალი იყოს ვიდრე ეკვივალენტური ღირებულების მქონე გამასპინძლების შემთხვევაში. გარდა ამისა, საჩუქრებს ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰქონდეთ კანონიერი საქმიანი მიზანი.
- 6.5. არცერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ფულადი ან ფულის ეკვივალენტური საჩუქრების (როგორცაა ჩეკები, სასაჩუქრე კუპონები ან სასაჩუქრე ბარათები) შეთავაზება, გაცემა ან მიღება.
- 6.6. იმ შემთხვევაში, თუ შემოგთავაზებენ საჩუქარს და თქვენ თავს ვალდებულად ჩათვლით მიიღოთ ის, ვინაიდან საჩუქრის უარყოფამ შესაძლოა შეურაცხყოფს აღნიშნული პირი, შეგიძლიათ მიიღოთ საჩუქარი და ამის შესახებ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში აცნობოთ „შესაბამისობის ოფიცრებს“, რომლებიც გადაწყვეტენ, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს.
- 6.7. საჩუქრების შეთავაზება ან გაცემა არ უნდა მოხდეს იმ პირებზე, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო უწყებებში ან წარმოადგენენ ასეთ უწყებებს, სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებზე ან ასეთი პირების ოჯახის წევრებზე ან ნათესავებზე.

7. პოლიტიკური და საქველმოქმედო შეწირულობები

- 7.1. „კომპანიაში“ მოქმედებს მექრთამეობის ან ანტიკორუფციული პრაქტიკის რისკის შერბილების შესაბამისი და თანაზომიერი პროცედურები.

აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

(ა) ნებისმიერი სახის ყველა საქველმოქმედო შეწირულობა დამტკიცებული უნდა იქნეს „შესაბამისობის ოფიცრების“ მიერ (ეს არ გიკრძალავთ ნებართვის გარეშე გააკეთოთ საკუთარი საქველმოქმედო შეწირულობები იმ პირობით, თუ ასეთი შეწირულობები კეთდება თქვენი სახელით, თქვენი სახსრებით და პირდაპირ ან ნაგულისხმევად არ არის გაცემული „კომპანიის“ სახელით).

(ბ) შიდა საკომუნიკაციო გეგმის მიღება იმისათვის, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან ნებისმიერი ურთიერთობა იყოს გამჭვირვალე და ღია და არ შექმნას ხელშეკრულების დადების ან ლიცენზიის მინიჭების მოლოდინი.

(გ) პერსონალის ტრენინგი და მხარდაჭერა კომუნიკაციის შესაბამისი პოლიტიკის და პროცედურების დანერგვაში, რომლებიც პრობლემების შესახებ ანგარიშგებისა და მათი დაცვის კონტროლის შესაძლებლობას იძლევა.

7.2. საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ შემოწირულობების მიღება მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული იურიდიული პირებისგან.

8. პარტნიორებისა და სხვა მესამე მხარეთა გამოყენება

- 8.1. კორუფციასთან ბრძოლის კანონმდებლობა კრძალავს პირდაპირ ან არაპირდაპირ არასათანადო სარგებლის მიღებას. ეს ნიშნავს, რომ „კომპანია“ შესაძლოა იკისროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს პარტნიორი ან მესამე მხარე, რომელიც წარმოადგენს ან მომსახურებას უწევს „კომპანიას“, ან მისი სახელით, განახორციელებს არასათანადო გადახდას ან სხვაგვარად მონაწილეობას მიიღებს არაეთიკურ ქცევაში „კომპანიისთვის“ სამუშაოს შესრულებისას. ასეთი ზემოქმედება შესაძლოა წარმოიშვას იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული გადახდა ან ქცევა ეკრძალება „კომპანიის“ მიერ ან/და რომ „კომპანიისთვის“ არ იყო ცნობილი ასეთი გადახდის შესახებ.
- 8.2. ნებისმიერ ბიზნეს პარტნიორთან ან მესამე მხარესთან „კომპანიის“ მიერ კომერციული ურთიერთობების დამყარებამდე, მნიშვნელოვანია განხორციელდეს სათანადო კომპლექსური შემოწმება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფორმა, რომლითაც ისინი ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, შეესაბამება „კომპანიის“ მიზანს - საქმიანობა გასწიოს ეთიკური ნორმების დაცვით, კეთილსინდისიერად და მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.3. კომპლექსური შემოწმებისა და მონიტორინგის ფორმა დამოკიდებულია ურთიერთობის ბუნებაზე და მეორე მხარეზე, რომელთანაც აწარმოებთ საქმეს (მაგალითად, არის თუ არა ეს მხარე იურიდიული ან ფიზიკური პირი).
- 8.4. მხარეები, რომელთა კომპლექსური შემოწმება უნდა განხორციელდეს, მოიცავს შუამავლებს ან სხვა მესამე მხარეებს, რომლებიც მოქმედებენ „კომპანიის“ სახელით, და საინვესტიციო ობიექტებს. ჩვენ ასევე ვახორციელებთ ჩვენი მომხმარებლების კომპლექსურ შემოწმებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის რეგულაციების შესაბამისად.
- 8.5. კომპლექსური შემოწმება უნდა განხორციელდეს მხარესთან ურთიერთობის დამყარებამდე ან გარიგების დადებამდე.
- 8.6. კონკრეტული მხარის კომპლექსური შემოწმების ფორმა და დონე დამოკიდებულია ურთიერთობის ფორმასა და შესაბამის მხარეზე. კომპლექსური შემოწმების პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მე-9 პუნქტში.
- 8.7. შუამავლების დაქირავება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ არსებითი მომსახურებების საფუძველზე, რომლებსაც ისინი უზრუნველყოფენ და შუამავალთან უნდა გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება გასაწევი მომსახურებები და შუამავლისთვის გადახდილი ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მომსახურებების საბაზრო ღირებულებას. თუ ჩვენ ვქირაობთ მესამე მხარეს, რომელიც იმოქმედებს „კომპანიის“ სახელით, „შესაბამისობის ოფიცრებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ სახელშეკრულებო დოკუმენტაციაში სათანადოდ იქნას ასახული მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ეს შესაძლოა მოიცავდეს ხელშეკრულების დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მეორე მხარის მიერ

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის დაცვასთან, უკანონო ქმედების გამოვლენის შემთხვევაში გამჟღავნების ვალდებულებების შესრულებასა და „კომპანიის“ უფლებამოსილებასთან აკონტროლოს საქმიანობები ან შეამოწმოს ბუღალტრული ჩანაწერები და წიგნები, ისევე როგორც მოთხოვნებთან, რომ მეორე მხარის პერსონალმა გაიაროს ტრენინგი მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების თაობაზე. ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვრება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით და დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ შესრულებული მომსახურებების ბუნებაზე. თქვენ ვალდებული ხართ „შესაბამისობის ოფიცრებს“ შეატყობინოთ თქვენთვის ცნობილი ახალი ინფორმაცია, როგორცაა მხარეების ცვლილება ან არსებითი პირობების ცვლილება, რომლებიც შესაძლოა წინამდებარე პოლიტიკის დებულებებს უკავშირდებოდეს.

8.8. შუამავლებთან ყველა გადახდა უნდა განხორციელდეს შუამავლის სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშზე იმ ქვეყანაში, სადაც არის შუამავლის ძირითადი საქმიანობის ადგილი ან სადაც ის არსებით მომსახურებას უწევს „კომპანიას“, და აღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს „კომპანიის“ ყველა მოქმედ პოლიტიკას. კერძოდ, თქვენ არ უნდა დათანხმდეთ, რომ გადაუხადოთ ანაზღაურება სხვა მხარეს, გარდა შუამავლისა, და არ უნდა დათანხმდეთ შუამავლის მოთხოვნას, განახორციელოთ გადახდა ოფშორულ საბანკო ანგარიშზე. მაგალითად, თუ რეგისტრირებული შუამავალი არის კომპანია, თქვენ არ უნდა განახორციელოთ გადახდები შუამავლის ცალკეულ თანამშრომლებსა ან ხელმძღვანელ პირებთან.

8.9. პარტნიორთან, ქვეკონტრაქტორთან ან მესამე მხარესთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ, აქტიურად უნდა გაკონტროლდეს იგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ პარტნიორი იცავს კანონმდებლობას და ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. განსახორციელებელი მონიტორინგის ღონისძიებები დამოკიდებულია ურთიერთობის ხასიათსა და პარტნიორზე.

9. პარტნიორებისა და მესამე მხარეების კომპლექსური შემოწმება და მონიტორინგის ღონისძიებები

9.1. როდის უნდა განახორციელოთ კომპლექსური შემოწმება?

(ა) კომპლექსური შემოწმებები უნდა განხორციელდეს:

(i) აგენტის, ქვეკონტრაქტორის ან სხვა შუამავლის/მესამე მხარის დაქირავებამდე, დანიშვნამდე ან მათთან გარიგების გაფორმებამდე.

(ii) პარტნიორობის ან ერთობლივი საწარმოს შექმნამდე; ან

(iii) კომპანიის ან კომპანიაში არსებითი წილის (10% ან მეტი) შექმნამდე.

(ბ) კომპლექსური შემოწმება უნდა განხორციელდეს რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, „შესაბამისობის ოფიცრებთან“ კონსულტაციის საფუძველზე.

(გ) შესაბამისი ბიზნეს ერთეული და „შესაბამისობის ოფიცრები“ უნდა შეთანხმდნენ შემდეგზე:

- (i) საჭიროა თუ არა კომპლექსური შემოწმების ღონისძიება;
- (ii) საჭირო კომპლექსური შემოწმების სახეობა და ფარგლები; და
- (iii) სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეასრულოს აგენტმა/პარტნიორმა და ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც საჭიროა შესაბამისი სააგენტოს, ერთობლივი საწარმოს ან შესყიდვის ხელშეკრულებაში.

(დ) კომპლექსური შემოწმების საჭიროების შემთხვევაში, ასეთი შემოწმება უნდა დასრულდეს:

- (i) აგენტთან, ქვეკონტრაქტორთან ან ერთობლივი საწარმოს პარტნიორთან ხელშეკრულებების ხელმოწერამდე;
- (ii) აგენტის, ქვეკონტრაქტორის ან შუამავლის მიერ ნებისმიერი სამუშაოს შესრულებამდე;
- (iii) პარტნიორობის/ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ საქმიანობაში ჩართვამდე; და
- (iv) შესყიდვის დასრულებამდე.

9.2. კომპლექსური შემოწმების რა სახის ღონისძიებები უნდა იქნას გამოყენებული?

(ა) კომპლექსური შემოწმების საჭირო ღონისძიებების სახეობა დამოკიდებულია ურთიერთობის ხასიათსა და პარტნიორზე ან სხვა მესამე მხარეზე. წინამდებარე პოლიტიკის მიზანი არ არის ინსტრუქციული დეტალური მოთხოვნების განსაზღვრა თითოეული და ყველა სახის პარტნიორის ან მესამე მხარისთვის, რომელთანაც „კომპანია“ საქმიანობს.

(ბ) თუმცა, კომპლექსური შემოწმების ზუსტი ღონისძიებები შეთანხმებულ უნდა იქნას „შესაბამისობის ოფიცრებთან“.

(გ) ამდენად, ზუსტი ღონისძიებების განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს მოქნილად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, კონტრაქტის/მესამე მხარის, ურთიერთობისა და გარიგების სახეობის გათვალისწინებით.

(დ) სტანდარტული კომპლექსური შემოწმებით „კომპანიას“ ჩვეულებრივ უნდა მოეთხოვოს, სულ მცირე, შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

- (i) შემოთავაზებული ურთიერთობის ან შესყიდვის კომერციული დასაბუთების შესახებ (უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლოა თავისთავად ცხადი იყოს);
- (ii) შესაბამისი მხარის არსებობის, სამართლებრივი სტრუქტურისა და ფორმის შესახებ;
- (iii) მხარის აქციონერთა ვინაობის შესახებ (სულ მცირე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც საბოლოოდ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფლობს ან აკონტროლებს აღნიშნული მხარის 25%-ს ან მეტს);

- (iv) მეორე მხარის დირექტორთა ვინაობის შესახებ;
 - (v) სახელმწიფო უწყებებთან ან სახელმწიფო მოხელეებთან შესაბამისი მხარის კავშირის შესახებ;
 - (vi) შემოთავაზებული ანაზღაურების დონისა და სტრუქტურის შესახებ - „კომპანია“ უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კომერციული თვალსაზრისით გამართლებულია; და
 - (vii) მეორე მხარის მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნორმების დაცვის პროცედურების შესახებ.
- (ე) გარემოებების შესაბამისად, უნდა განიხილოს მეორე მხარის გადამოწმების საკითხი მოქმედი სანქციების ან სააღსრულებო ორგანოთა ნუსხებში.
- (ვ) მომეტებული რისკის გარემოებებში, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს დამატებითი ღონისძიებების გატარება, როგორცაა:
- (i) კონტრაქტის ან სამიზნე კომპანიის შესაბამისი პერსონალის გამოკითხვა შესაბამისობის გარემოს უკეთ განსაზღვრის მიზნით, რომელშიც აღნიშნული მხარე ეწევა საქმიანობას;
 - (ii) სამიზნე კომპანიასთან/კონტრაქტთან დაკავშირებით მესამე მხარის რისკის ან საიმედოობის კომპლექსური შემოწმების ანგარიშების შედგენა რეპუტაციის, საკუთრების სტრუქტურის, ისტორიისა და სხვა საკითხების დადგენის მიზნით; ან/და
 - (iii) ადგილობრივი ბაზრის სხვა მონაწილეებთან გასაუბრება კონტრაქტის რეპუტაციის უკეთ დასადგენად.

9.3. ჩანაწერები

- (ა) კომპლექსური შემოწმების შესახებ ჩანაწერები შენახული უნდა იქნეს სააგენტოს/პარტნიორობის/ბიზნეს ურთიერთობების შემენიდან ან შეწყვეტიდან 5 წლის განმავლობაში.
- (ბ) შესაბამისი ჩანაწერების გაკეთების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის ბიზნეს ერთეულს „შესაბამისობის ოფიცრებთან“ შეთანხმებითა და კოორდინაციით.
- (გ) „შესაბამისობის ოფიცრები“ პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი ვადით შეინახონ აღნიშნული ჩანაწერები.

9.4. სახელშეკრულებო ვალდებულებები

- (ა) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია უზრუნველყოს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების სათანადოდ გათვალისწინება კონტრაქტთან ან „კომპანიის“ მიერ დაქირავებულ ნებისმიერ მესამე მხარეებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

(ბ) ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვრება მეორე მხარის ხასიათის, ასეთი მხარის რისკებისა და გარიგების სახეობის გათვალისწინებით. უმეტეს შემთხვევაში ჩვენი კონტრაქტები უკვე იცავენ ეთიკურ სტანდარტებს, შესაბამისად, შესაძლოა, მაგალითად, „კომპანიის“ საკუთარი პროცედურების შემოღება საჭირო ან მიზანშეწონილი არც იყოს. სხვა გარემოებებში, იმ შუამავლებთან ურთიერთობისას, რომლებიც წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს, შესაძლოა, მაგალითად, საჭირო გახდეს ჩვენი საკუთარი სტანდარტების დაწესება.

(გ) ხელშეკრულების დებულებები შესაძლოა მოიცავდეს:

- (i) ვალდებულებებს მეორე მხარისთვის, რომ დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- (ii) ვალდებულებებს მეორე მხარისთვის, რომ დაიცვას წინამდებარე პოლიტიკა;
- (iii) განცხადებებს, რომ მეორე მხარე არ არის და არ იქნება ჩართული უკანონო ქმედებაში;
- (iv) უკანონო ქმედების გამოვლენის შემთხვევაში გამჟღავნების ვალდებულებებს;
- (v) აღნიშნული მესამე მხარისთვის წინამდებარე პოლიტიკის შინაარსის განმარტებისა და განხილვის, საქმიანობების მონიტორინგის და წიგნებისა და ჩანაწერების შემოწმების უფლების მინიჭებას „კომპანიისთვის“;
- (vi) შესაბამისი შუამავლებისთვის ან კონტრაქტის პერსონალისთვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ტრენინგის გავლის მოთხოვნებს;
- (vii) „კომპანიის“ თანამშრომლებისთვის ერთობლივი საწარმოს სახელით ჩატარებულ ყველა კრებაზე დასწრების უფლების მინიჭებას, განსაკუთრებით თუ ასეთი კრებები მოიცავს ურთიერთობების მომეტებულ რისკს, როგორცაა კრებები გაყიდვების შესახებ ან შეხვედრები სახელმწიფო თანამდებობის პირებთან; და
- (viii) „კომპანიისთვის“ ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ზემოთ მითითებული რომელიმე ვალდებულების, განცხადების ან/და მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

9.5. მონიტორინგი

(ა) პარტნიორთან, ქვეკონტრაქტორთან ან მესამე მხარესთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ, აქტიურად უნდა გაკონტროლდეს იგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ პარტნიორი იცავს კანონმდებლობას და ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

(ბ) მონიტორინგის ღონისძიებები, რომელთა გატარება აუცილებელია, ურთიერთობის ბუნებისა და პარტნიორის შესაბამისად იცვლება. წინამდებარე პოლიტიკის მიზანი არ არის მონიტორინგის ინსტრუქციული სტანდარტების დადგენა, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას თითოეული კონკრეტული ურთიერთობის ან

ურთიერთობის სახეობის მიმართ. როგორც კომპლექსური შემოწმების შემთხვევაში, გატარებული მონიტორინგის ღონისძიებების მიმართ უნდა არსებობდეს მოქნილობა კონკრეტული ურთიერთობის ან პარტნიორის რისკების შესაბამისად. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბიზნეს ერთეულის მიერ „შესაბამისობის ოფიცრებთან“ ერთად.

(გ) თუმცა, ღონისძიებების ზომები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- (i) ქვეკონტრაქტორებთან, აგენტებსა და სხვა მესამე მხარეებთან განხორციელებული გადახდების შემოწმება;
- (ii) იმ აგენტების მიერ განხორციელებული გადახდების შემოწმება, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ.
- (iii) პარტნიორების მიერ მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის დაცვის დამადასტურებელი წლიური სერტიფიკატის მოთხოვნა (მომეტებული რისკის პარტნიორები/მესამე მხარეები);
- (iv) „კომპანიის“ წარმომადგენელთა დასწრება კრებებზე, რომლებიც შესაბამისობის თვალსაზრისით „მაღალი რისკის“ მქონედ ითვლება; და
- (v) მიმდინარე ან პერიოდული შეხვედრები პარტნიორებთან და ახალი ბიზნეს შეთანხმებებისა და დაკავშირებული გაყიდვების პროცესების განხილვა.

10. „წითელი ალმის“ სიტუაციები

- 10.1. ისტორია და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარკვეული ფაქტორები ან სიტუაციები იწვევენ „წითელი ალმის“ მდგომარეობას, რომელიც მექრთამეობის/კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნორმების დარღვევების მომეტებულ რისკს შეიცავს.
- 10.2. „წითელი ალმები“ მიუთითებენ საყურადღებო საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მოკვლევას, თუმცა თავისთავად შესაძლოა არ ქმნიდნენ უკანონო ქმედებების შესახებ ცოდნის ან ეჭვის გაჩენის საკმარის საფუძველს.
- 10.3. „კომპანიის“, მისი აგენტების ან შუამავლების მიერ მიღებული ან გაცემული უჩვეულო გადახდების მოთხოვნები წარმოადგენს საყურადღებო საკითხების ერთ-ერთ ინდიკატორს. „წითელი ალმების“ სხვა მაგალითები მოცემულია ქვემოთ.
- 10.4. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი არ მოიცავს ყველა შესაძლო „წითელ ალმს“ ან უჩვეულო გარემოებას, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს პრობლემაზე, თუმცა საჭიროა აღნიშნული საკითხების მოკვლევა და მათი მხილება, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ:
 - (ა) ნებისმიერი გადახდა, რომელიც არ განხორციელებულა ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად და არ არის დასაბუთებული დოკუმენტური მტკიცებულებით, რომ საქონელი ან მომსახურებები ფაქტობრივად არის გაწეული;
 - (ბ) მოქმედი ტარიფის არსებითი გადაჭარბებით შუამავლების ან პარტნიორებისთვის გადახდილი საკომისიოები;

(გ) შუამავლებისთვის საკომისიოების ნაღდი ფულით გადახდასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ისევე როგორც მესამე მხარისთვის ან ამ მხარის მეშვეობით, ან იურისდიქციებში, რომლებიც არ წარმოადგენს იმ ქვეყანას, სადაც მომსახურება და შესაბამისი ხელშეკრულება სრულდება ან სადაც შუამავლის საქმიანობის ძირითადი ადგილსამყოფელი არის განთავსებული (განსაკუთრებით საბანკო საიდუმლოების იურისდიქცია, როგორცაა კვიპროსი, კაიმანისა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები);

(დ) ქვეყნის ან სახელმწიფო თანამდებობის პირის კორუფციული რეპუტაცია. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, აღნიშნული თავისთავად არ წარმოადგენს ქრთამის გადახდის დამადასტურებელ საკმარის ინფორმაციას, იგი გაძლიერებული კომპლექსური შემოწმების პროცედურების მიზანშეწონილობაზე მიუთითებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ (Transparency International) ყოველწლიურად აქვეყნებს კორუფციის აღქმის ინდექსს, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi;

(ე) მოხსენებები შუამავლის ან აგენტის მიერ არამართლზომიერი გადახდების ან სხვა არაეთიკური საქმიანი პრაქტიკის შესახებ;

(ვ) შუამავლის მიერ უჩვეულო ან სოლიდური საკომისიოს გადახდის, ავანსის ან წარმატების ბონუსის გადახდის ან დისტრიბუტორებისთვის უჩვეულო ფასდაკლებების მოთხოვნა;

(ზ) შუამავლის მიერ ანგარიშ-ფაქტურით მოთხოვნილი თანხა, რომელიც აღემატება შეთანხმებულ თანხას ან დოკუმენტურად დაუდასტურებელ ხარჯებს ან არაგონივრული ოდენობის ხარჯებს ან მსგავს გარემოებას ასახავს;

(თ) უცხოური მთავრობის გადაწყვეტილების მიმღები პირების მოთხოვნები კონკრეტული შუამავლის მომსახურებების გამოყენების შესახებ;

(ი) კონკრეტულ ხელშეკრულებაში ერთზე მეტი შუამავლის გამოყენება, როდესაც მთლიანი საკომისიო აღემატება აღნიშნულ ქვეყანაში მოქმედ განაკვეთს (ან კანონიერ ზედა ზღვარს) და მეორე შუამავლის გამოყენებასთან დაკავშირებით ეკონომიკური დასაბუთება არის არაადეკვატური, არარეალური ან არ არსებობს;

(კ) შუამავალი არის უცხო ქვეყნის თანამდებობის პირი ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო უწყების მიერ დასაქმებული პირი ან შუამავალი სააგენტო, რომელიც აღნიშნული შუამავლისთვის მუშაობს;

(ლ) შუამავალი არის მოქმედი ან ყოფილი სახელმწიფო მოხელე ან სახელმწიფო თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირი, ან ამგვარ მესამე მხარე კომპანიას მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სახელმწიფო თანამდებობის პირის ნათესავი;

(მ) შუამავალს ან შუამავალი პარტნიორის ფირმის პარტნიორს ან დირექტორს, აქციონერს ან თანამშრომელს აქვს პირადი, ოჯახური ან საქმიანი ურთიერთობა უცხო ქვეყნის თანამდებობის პირთან;

(ნ) შუამავლის ან პარტნიორის მხრიდან შემოთავაზებული მომსახურებების გაწევისთვის საჭირო კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების ან რესურსების ამკარა არარსებობა;

(ო) შუამავალი მოითხოვს ან დაინტერესებულია, რომ „კომპანიასთან“ ურთიერთობა დარჩეს ანონიმური ან კონფიდენციალური;

(პ) არსებობს ეჭვები შუამავლის ან პარტნიორის რეპუტაციასთან დაკავშირებით, რადგან დადის ხმები მისი „კავშირების“ შესახებ და შუამავალი ან პარტნიორი თავს იკავებს აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის გაცემისგან;

(ჟ) შუამავალი არ ეთანხმება ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნას მექრთამეობის საწინააღმდეგო ან ანტიკორუფციული დებულებები, უარს აცხადებს გონივრული და მიღებული შესაბამისობის ღონისძიებების განხორციელებაზე ან უარს ამბობს მექრთამეობის ან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნორმების დაცვის შესაბამისი მოთხოვნის შესრულებაზე;

(რ) ხარჯები და საბუღალტრო ჩანაწერები არ არის გამჭვირვალე;

(ს) ცნობილია, რომ შუამავალი ან პარტნიორი საკუთარ ქვეყანაში ან სხვაგან უზრუნველყოფს გასართობ ღონისძიებებს, საჩუქრებს, გამასპინძლებას ან იყენებს კორპორაციულ რესურსებს/ობიექტებს უცხო ქვეყნის თანამდებობის პირებისთვის, პოლიტიკური ლიდერებისთვის ან მათი ოჯახებისთვის;

(ტ) შუამავალი პოლიტიკურ ან საქველმოქმედო შეწირულობებზე მიუთითებს, როგორც ოფიციალურ ქმედებაზე გავლენის მოხდენის საშუალებაზე; და

(უ) „კომპანიასა“ და შუამავალს შორის შემოთავაზებული ხელშეკრულება უკანონო ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ტრენინგი და წინამდებარე პოლიტიკის გაცნობა

- 11.1. „კომპანიის“ ყველა თანამშრომელს მოეთხოვება გაიაროს სასწავლო კურსი მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ტრენინგი ჩაუტარდება „კომპანიის“ ყველა შესაბამის მოქმედ თუ ახალ თანამშრომელს და აგენტს.
- 11.2. ტრენინგი, საჭიროების შემთხვევაში, მორგებული უნდა იყოს „კომპანიაში“ არსებულ კონკრეტულ თანამდებობებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებზე;
- 11.3. ტრენინგი პერიოდულად უნდა იქნეს განახლებული, როგორც ამას „კომპანია“ ჩათვლის საჭიროდ;
- 11.4. წინამდებარე პოლიტიკის ასლი ხელმისაწვდომია „კომპანიის“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტში;
- 11.5. „შესაბამისობის ოფიცრების“ წინასწარი თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე პოლიტიკა შეიძლება გასაცნობად გადაეცეს ჩვენს კლიენტებს, მომწოდებლებს, ქვეკონტრაქტორებს, აგენტებს ან შუამავლებს.

11.6. შესაძლოა დადგეს გარემოებები, რომლებიც მოითხოვს წინამდებარე პოლიტიკის გამჟღავნებას, მაგალითად, სატენდერო წინადადებაზე პასუხთან დაკავშირებით.

12. დარღვევების მხილება და მოკვლევა

12.1. საკითხის წამოჭრის ორი მთავარი გზა არსებობს თუ თქვენთვის ცნობილი გახდება ან ეჭვი გაგიჩნდებათ, რომ ადგილი აქვს წინამდებარე პოლიტიკის დარღვევას „კომპანიის“ თანამშრომლის ან მასთან დაკავშირებული პირის ან მესამე მხარის მიერ, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „კომპანიის“ სახელით; აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს შეტყობინება „კომპანიის“ „მხილების პოლიტიკისა“ და წინამდებარე „მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის“ შესაბამისად:

(ა) პირველ რიგში, თქვენი ნებისმიერი წუხილი უნდა განიხილოს თქვენს უშუალო ხელმძღვანელთან. შეგიძლიათ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს მოახსენოთ პირადად ან, სურვილისამებრ, აღნიშნულის შესახებ აცნობოთ წერილობით. შესაძლებელია, რომ უშუალო ხელმძღვანელმა შეძლოს საკითხის სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა.

(ბ) თუ თქვენ არ შეგიძლიათ ან თვლით, რომ არ უნდა განიხილოს აღნიშნული საკითხი თქვენს უშუალო ხელმძღვანელთან ან თუ უშუალო ხელმძღვანელს არ განუხილავს აღნიშნული საკითხი, თქვენი წუხილის განსახილველად პირდაპირ „შესაბამისობის ოფიცრებს“ უნდა მიმართოთ.

12.2. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე პოლიტიკის ფარგლებში შეძლებთ ღიად გამოხატოთ მექრთამეობასა და კორუფციასთან დაკავშირებული თქვენი წუხილი. მივესალმებით, რომ ცნობილი ან სავარაუდო დარღვევის მოხსენების დროს მიუთითოთ თქვენი ვინაობა, ეს ხელს შეუწყობს „კომპანიას“ სრულყოფილად გამოიკვილოს თქვენი წუხილის საგანი. თუმცა, თუ თქვენთვის უხერხულია საკუთარი თავის იდენტიფიცირება, შეგიძლიათ ანონიმურად განახორციელოთ შეტყობინება. აღნიშნული შეტყობინების შერჩეული ფორმის მიუხედავად, „კომპანია“ გამოიკვილევს თქვენს წუხილს და მიიღებს შესაბამის ზომებს. თუ გსურთ თქვენი წუხილის კონფიდენციალურად დაფიქსირება, ჩვენ ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ თქვენი ვინაობა არ იქნას გამჟღავნებული. თქვენი ვინაობა (თუ ეს თქვენს მიერ არის გამჟღავნებული) და წარმოდგენილი ინფორმაცია გამჟღავნდება მხოლოდ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ან როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა, რათა მოხდეს რეაგირება თქვენს წუხილზე, ხოლო გამჟღავნებამდე ეს საკითხი განხილული იქნება თქვენთან.

12.3. თუ თქვენთვის უმჯობესია ანონიმური გამჟღავნება, შეგიძლიათ თქვენი წუხილის შესახებ უშუალოდ „შესაბამისობის ოფიცრებს“ შეატყობინოთ, განცხადების დალუქული კონვერტით წარდგენის გზით ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი საშუალებით, რომელიც ანონიმური ფორმით გამჟღავნების შესაძლებლობას იძლევა.

12.4. თქვენი მოხსენება ჩაითვლება კონფიდენციალურად.

12.5. საეჭვო მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ მოხსენების შემთხვევაში „კომპანიის“ მხრიდან თქვენს მიმართ არ გავრცელდება რაიმე უარყოფითი შედეგი.

12.6. თქვენ არცერთ შემთხვევაში არ უნდა გაანადგუროთ მასალა, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას წინამდებარე პოლიტიკის დარღვევის მოსაკვლევად, ან არ უნდა გაუმჟღავნოთ ინფორმაცია პირს, რომელიც შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს მოკვლევისათვის.

12.7. თქვენ ვალდებული ხართ შეასრულოთ „კომპანიის“ ნებისმიერი მოთხოვნა წინამდებარე პოლიტიკის დარღვევის მოკვლევასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაციის, მასალის ან დოკუმენტის წარდგენის თაობაზე.

12.8. წინამდებარე პოლიტიკის ფარგლებში გაკეთებული ნებისმიერი მოხსენება დაუყოვნებლივ და სრულად უნდა იქნას მოკვლეული.

12.9. „შესაბამისობის ოფიცრები“ ითანამშრომლებენ გარეშე მხარეებთან, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებთან და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ უწყებებს წარუდგენენ მოხსენებებს.

12.10. თქვენ ასევე უნდა იხელმძღვანელოთ „კომპანიის“ „მხილების პოლიტიკის“ შესაბამისად.

13. ანგარიშწარმოება და შიდა ბუღალტრული აღრიცხვის კონტროლის სისტემა

13.1. „კომპანია“ ვალდებულია აწარმოოს ბუღალტრული წიგნები, ჩანაწერები და ანგარიშები, რომლებიც ზუსტად, ობიექტურად და სათანადოდ დეტალურად ასახავს ყველა გადახდას, ხარჯს, გარიგებასა და „კომპანიის“ აქტივების განკარგვას. „კომპანიამ“ ასევე უნდა უზრუნველყოს შიდა ბუღალტრული აღრიცხვის კონტროლის სათანადო სისტემა.

13.2. „კომპანიის“ ბუღალტრულ წიგნებთან და ჩანაწერებთან მიმართებით, ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

(ა) განზრახ რაიმე ფორმით არ მისცეს არასწორი სახე „კომპანიის“ დოკუმენტებს;

(ბ) არ აწარმოოს ან თავი შეიკავოს იმგვარი ჩანაწერების წარმოებისგან, რომლის მიზანია რაიმე არამართლზომიერი ფაქტის დაფარვა;

(გ) სათანადოდ და დაუყოვნებლივ აღრიცხოს თანხების თითოეული გაცემის შემთხვევა; და

(დ) არ დადოს უჩვეულო ფინანსური შეთანხმებები მომხმარებელთან ან მომწოდებელთან (როგორცაა ანგარიშ-ფაქტურების გადაჭარბებულ ან შემცირებულ თანხებზე გამოწერა) მათი სახელით იმ მხარესთან გადახდებზე, რომელიც არ არის გარიგების მხარე.

14. პასუხისმგებლობა მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკაზე

14.1. წინამდებარე პოლიტიკა საგანგებოდ არის შემუშავებული და დამტკიცებული „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის შესრულებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება

გენერალურ დირექტორს, დირექტორთა საბჭოსა და „შესაბამისობის ოფიცრებს“, თუმცა „კომპანიის“ ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია აღნიშნული პოლიტიკის წარმატებით შესრულებაზე და „კომპანიის“ მიზნის ხელშეწყობაზე, იკრძალებოდეს მექრთამეობა და კორუფცია.

14.2. პირები, რომლებსაც წინამდებარე პოლიტიკის შესრულებაზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ვალდებული არიან აღმასრულებელ ხელმძღვანელ პირებსა და „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალურად წარუდგინონ ინფორმაცია პოლიტიკის შესრულების თაობაზე. ამ მიზნით, „შესაბამისობის ოფიცრებს“ უფლება აქვთ ანგარიში უშუალოდ „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინონ.

14.3. კვარტალური ანგარიშების მომზადების მიზნით, „შესაბამისობის ოფიცრებს“ შეუძლიათ ჩაატარონ „კომპანიის“ საქმიანობის პერიოდული შესაბამისობის აუდიტი. „შესაბამისობის ოფიცრებს“ უფლება აქვთ აწარმოონ წინამდებარე პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის/შეუსაბამობის შესახებ მოხსენებების შიდა მოკვლევა.

14.4. წინამდებარე პოლიტიკა შეიძლება პერიოდულად შესწორდეს და გადაიხედოს „კომპანიის“ წინაშე წარმოშობილი ახალი რისკების, ასევე მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებში არსებული ცვლილებების შესაბამისად. არსებითი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, შესწორებული პოლიტიკა დასამტკიცებლად წარედგინება „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს.

წინამდებარე პოლიტიკის შინაარსის ან განმარტების თაობაზე ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში მიმართეთ „შესაბამისობის ოფიცრებს“.

მუხლი 17. კოდექსის აღსრულება

1. „კომპანიის“ ყველა ახალ და მოქმედ თანამშრომელს მოეთხოვება გაეცნოს წინამდებარე „კოდექსს“, რასაც უზრუნველყოფს „კომპანიის“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტი.
2. წინამდებარე „კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება თანამშრომლის არასათანადო ქმედებად, რაც განაპირობებს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.
3. წინამდებარე „კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის ფაქტებთან მიმართებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები და პროცედურები გამოიყენება „კომპანიაში“ მოქმედი დისციპლინური პასუხისმგებლობის წესების შესაბამისად.
4. წინამდებარე „კოდექსსა“ და მასში შეტანილ ცვლილებებს ამტკიცებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო.